ეროვნული ბიბლიოთეკა





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 45 (4039)

5 მარტი. 1970 წ. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## საქართველოს ჩემპიონები

სურათებზე: საქართველოს ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონები — ზევით მარცხნივ: 3×5 კმ-ზე ესტაფეტაში მესტიის ქალთა გუნდი — (მარცხნიდან) ნ. რატიანი, ლ. ქორქოლიანი და ლ. ჯაფარიძე; მარჯვნივ: 4×10 კმ-ზე ესტაფეტაში მესტიის ვაჟთა გუნდი — (მარცხნიდან) ზ. გულბანი, რ. ჯაფარიძე, შ. გერლიანი, ა. ნავერიანი; ქვემოთ — ჩემპიონები პირად ჩათვლაში — (მარცხნიდან) ქ. წაქაძე, ნ. ფალიანი, ფ. თვაური, ზ. გულბანი, ა. კაზაკოვა, გ. ჯიჩონევი.

ფოტო ო. გელაშვილისა.













## რეკორდები

ბაქო, 3 მარტი (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მოცურავეთა ზონალური პირველობა. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს საქართველოს სპორტსმენებმა, რომლებმაც გუნდური გამარჯვება დაისაკუთრეს. თბილისელმა თ. ლეკვეიშვილმა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 25-მეტრიანი აუზებისთვის გოგონათა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა (2.30,7) და პირველობაც მოიგო.

თბილისის დინამოელმა ა. იოაკიმიდიმ საქართველოს ახალი რეკორდით გაიმარჯვა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.53,5. 200 მ გულაღმა ბათუმელმა ვ. კრასკომ 2 წუთსა და 19,9 წამში გაცურა. ესეც ახალი რესპუბლიკური მიღწევაა.

თავი ისახელა თბილისელმა ი. ლისეცკიმაც, რომელმაც გააუმჯობესა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი. მისი შედეგია 18.04,1.

ა. გურასაშვილი.

მოსკოვი, 3 მარტი. ადგილობრივმა მოსწავლემ, 15 წლის ო. კუდაშოვამ სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა 25-მეტრიანი აუზებისთვის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 4.46,5. ამ შედეგს მან გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე საკავშირო ტურნირის შესარჩევ შეჯიბრებაში მიაღწია. ძველი რეკორდი (4.49,6) კუდაშოვას თანაკლუბელს — სპარტაკელ თ. სოსნოვა-კრავჩენკოს ეკუთვნოდა.

## პაიკი, მხედარი და... ყაიმი

ფოთი, 4 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში ერთდღიანი დასვენების შემდეგ VIII ტურით ბრძოლა განახლდა. გაგაცნობთ ამ ტურის შედეგებს: იზვოზჩიკოვი — ჯინჯიხაშვილი 0,5:0,5, ტალი — გურგენიძე 0,5:0,5, ჩეჩელიანი — ბუსლაევი 0,5:0,5, გიორგაძე — გედევანიშვილი 1:0, ჩიქოვანი — ნეურონოვი 1:0. მიქაძე — უბილავასა და ლევინ — ჯანოევის პარტიები გადაიდო. ისვენებდა ბოკუჩავა.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ტალ—გურგენიძის შეხვედრა. ტალმა უზუსტოდ გაითამაშა დებიუტი: როცა ქართველი ოსტატი იერიშისთვის მოემზადა, მან ჯერ პაიკი შესწირა, მერე მხედარი და ბრძოლა უკიდურესობამდე დაიძაბა. იყო მომენტი, როცა ერთდროულად ტალის სამ ფიგურას ემუქრებოდა დარტყმის საფრთხე. გურგენიძემ ზედმეტი ფიგურა უკან დააბრუნა და თამაშიც გათანაბრდა. 32-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

### საქართველოს ჩემპიონატი XXXI

ყაიმით დამთავრებულ ორ სხვა პარტიაში მოწინააღმდეგეებმა მძაფრ ბრძოლას თავი აარიდეს.

უბილავამ კარგი კომბინაცია შემოგვთავაზა მიქაძესთან შეხვედრაში: ხამ ფიგურაში ლაზიერი შესწირა და პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო. ლევინს ჯანოევთან უკეთესი მდგომარეობა აქვს.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ რ. ჯინჯიხაშვილი — 6 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია, ბ. გურგენიძე — 5,5 და 2 გადადებული პარტია, ა. ბუსლაევი — 5,5.

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

### ახალი ამბები

● ვარშავა, 4 მარტი. პოლონელ მძლეოსანთა შეჯიბრების დროს ვ. კომარმა დარბაზში ბირთვი 20,08 მეტრზე ჰკრა და 16 სანტიმეტრით გააუმჯობესა ევროპული მიღწევა.

● მოსკოვი, 4 მარტი. მოსკოვისა და ლენინგრადის მოცურავეთა მატჩში თავი გამოიჩინა მასპინძელმა გ. სინიცინამ, რომელმაც ჯერ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო (1.01,7), ხოლო შემდეგ 200 მეტრზე ამავე სტილით ასპარეზობაში 2.14,7 აჩვენა და 25-მეტრიანი აუზებისთვის სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. მასპინძლებიდან თავი ისახელეს, აგრეთვე, ვ. მაზანოვმა (100 მ თავისუფალი სტილით — 53,7), ვ. შარიგინმა (200 მ ბატერფლაით — 2.10,9), ა. გრებენიკოვამ (200 მ ბრასით — 2.42,3), ა. დუნაევმა (1500 მ თავისუფალი სტილით — 17.08,0). სტუმრებიდან ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ვ. კოსინსკის, რომელმაც მოიგო 200 მეტრზე ბრასით ცურვა — 2.30,1.

## მედლების სხვადასხვა მისამართი

რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გამართული 15-კილომეტრიანი რბოლის მონაწილეებმა სტარტი წყნარ, მზიან დღეს აიღეს. თუ 30-კილომეტრიან დისტანციაზე ყველა მედალი მოსკოველებს ხვდათ, ახლა ჯილდოები სულ სხვადასხვა კუთხის სპორტსმენებმა გაინაწილეს. ოქროს მედალი მოიპოვა 23 წლის ომსკელმა ვ. დოლგანოვმა, რომელმაც ჩინებული შედეგი აჩვენა — 48.42. ვერცხლის პრიზიორი გახდა მოსკოველი ვ. ტარაკანოვი — 49.18. ბრინჯაო მიიღო კამჩატკის პეტროპავლოვსკის წარმომადგენელმა ი. ჩარკოვსკიმ — 49.26.

ილმენის ქედის ფერდობების ნათხილამურევზე დღეს 150-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა.

ა. ფილიპონენკო.
(საკდესის კორ.).

მიასი, 3 მარტი.

## ჩემპიონატი დამთავრდა, ბრძოლა გრძელდება

შტრბსკე-პლესოში მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე სპორტსმენები ჯგუფებად დანაწილდნენ და ეროვნული ფედერაციების მიწვევით სხვადასხვა ქვეყანაში გაეშურნენ საერთაშორისო ტურნირებში სასპარეზოდ.

ნაწილი ოკეანეს გაღმა, აირონვუდს (აშშ) ესტუმრა და დიდი ტრამპლინიდან ხტომაში გამართა შეჯიბრება. „მფრინავ მოთხილამურეთა" ამ საინტერესო სანახაობაზე მიჩიგანის შტატის თითქმის ყველა კუთხიდან ჩავიდნენ გულშემატკივრები და არც წააგიათ: დასავლეთის ნახევარსფეროზე სპორტის ამ სახეობის ისტორიაში უშორესი ნახტომის მოწმენი გახდნენ.

ტრამპლინზე, რომლის საპროექტო სიმძლავრე 120 მეტრია, მასპინძელი ა. უოტი 113 მეტრზე გადახტა და შეჯიბრების ლიდერი გახდა, მაგრამ გამარჯვება მას არ ეწერა. ჯერ ჩეხოსლოვაკიელმა ლ. დივილამ 121 მეტრზე იფრინა, მერე კი მისი თანაგუნდელი რ. დოუბეკი 126 მეტრზე დაეშვა.

გდრ-ის მორბენლები ტატრებშიც კარგად გამოვიდნენ და მის შემდეგ გამართულ საერთაშორისო შეხვედრებშიც ისახელეს თავი: ფალუნში, შვეციის მოთხილამურეთა თამაშებში, 24 წლის ჰ.-დ. კლაუზემ (გდრ) 15 კმ-ზე რბოლაში 48.33,0 აჩვენა და I ადგილი დაისაკუთრა. II ადგილზე გასული ი. სანდსტრიომმა (შვეცია) მას 37 წამით ჩამორჩა. III და IV ადგილებზეც გერმანელები — ა. ლესერი (49.15,0) და გ. გრიმერი (49.17,0) გავიდნენ. ამ დისტანციაზე მსოფლიოს ჩემპიონი ლ. ოსლუნდი (49.39,0) VIII ადგილს დასჯერდა.

ორჰიდში მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები ვ. დრიაგინი და ნ. ნოგოვიცინი (ორივე — სსრ კავშირი) ლაჰტიში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაშიც II და III ადგილებზე გავიდნენ. დრიაგინმა 414,4 ქულა მოაგროვა, ხოლო ნოგოვიცინმა 411,3 ქულა. მათ მხოლოდ ნორვეგიელმა კ.-ო. ზერგმა აჯობა — 415,6.

## სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი



# ერიდეთ პროგნოზს — იგი მაცდურია

კალათბურთს არ უყვარს პროგნოზები. ზოგჯერ ის, რაც ცხადი და უეჭველი ჩანს, თურმე არც ერთია და არც მეორე. ეს ამბავი მუდამ უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც რაიმე „საკალათბურთო სიბრძნის" საჯაროდ გამოთქმას აპირებს.

კიევის არმიელებმა შარშან, 24 დეკემბერს, დაამარცხეს რიგელი თანაკლუბელები. მას შემდეგ თითქმის ორთვენახევარი გავიდა, კიეველებმა კი სატურნირო ცხრილში ქულაც ვერ ჩაიწერეს. ნამდვილი რეკორდია — რვა რიგითი მარცხი, ზედიზედ რვა უსიამოვნო ნოლი. მიზეზი თითქოს ცხადია: უკრაინელი კალათბურთელები ფორმაში არ არიან და ამიტომაც დიდ საშიშროებას არ უქმნიან სატურნირო ცხრილის ზედა ნახევრის ბინადართ.

როგორც ხედავთ, ყველა საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ გაკეთდეს საკმაოდ მოკრძალებული და ზოგადი დასკვნა: კიევის არმიელებს არავითარი შანსი არა აქვთ „ჟალგირისთან" ბრძოლაში. მით უმეტეს, ლიტველები აგერ ოქროს მედლებსაც წაეპოტინენ, უკრაინელები კი საოცარი თანმიმდევრობითა და პრინციპულობით ყოველ შეხვედრაში იუარესებენ მდგომარეობას და ბეჯითად მიექანებიან სახიფათო ზონისკენ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით გაკეთდა პროგნოზი „ჟალგირისის" მორიგი და უეჭველი გამარჯვების შესახებ. და, როგორც ხედავთ, პროგნოზი ერთხელ კიდევ მაცდური გამოდგა.

კიევის ასკ-მ მოიგო ეს ბრძოლა და თავისი თავი გაახსენა მათ, ვინც სულ ორიოდე წლის წინ მზარდი და პოპულარული კოლექტივი დიდი ანგარიშიდან ჩამოწერა. ასეთი სენსაციის შემდეგ მიღებულია მიზეზების ძებნა. შესაძლოა, „ჟალგირისის" მარცხი იმით იყო გამოწვეული, რომ წინა დღეს გუნდმა ფაქტიურად უიმედო მატჩი გადაარჩინა. „კალევთან" გამარჯვებამ ლიტველებს წაართვა ფიზიკური და ფსიქიკური ენერგიის გაცილებით მეტი მარაგი, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო. „ჟალგირისმა" მეორე დღეს ვერ ივარგა იმიტომ, რომ არ ეყო ძალა და ბრძოლის ჟინი. ასეთია ვითარება, თუ მას „ჟალგირისის" პოზიციიდან გახედავ.

მაგრამ დანაშაული იქნება არმიელთა წარმატება მხოლოდ და მხოლოდ „ჟალგირისის" ცუდ თამაშს მივაწეროთ. პირიქით, უფრო ლოგიკურია ვიფიქროთ, იქნებ სწორედ კიეველთა ალმაფრენა გახდა მიზეზი, რომ ლიდერი მთელი 40 წუთის მანძილზე ხელფეხშეკრული აღმოჩნდა. ასეთი გამარჯვების დროს აქებენ გუნდს, მის კოლექტიურ სულისკვეთებას, და ერიდებიან ერთი რომელიმე კალათბურთელის გამოყოფას. ჩვენ დავარღვევთ ტრადიციას და ვიტყვით, რომ მატჩის გმირი იყო პოგულიაი, რომელმაც, ჯერ ერთი, წარმატებით გაართვა თავი ორგანიზატორის ფუნქციებს, და მეორეც, თამაშიდან გამოთიშა ისეთი დიდი ძალა, როგორიც პაულაუსკასია.

წინა ნომერში გავბედეთ და ვთქვით, რომ თბილისის „დინამომ" ბოლოს და ბოლოს გაიხსენა „ახალგაზრდობა". მართალი გითხრათ, ჩვენ ახლაც გვჯერა, რომ ასეა. მაგრამ მკითხველის წინაშე მწარედ გავმტყუნდით. გუშინწინ „ურალმაშთან" თამაშით თბილისელებმა ცივი წყალი გადაასხეს ჩვენს ნაჩქარევ იმედებს და სიხარულს.

„დინამომ" აიღო ქულა და კიდევ უფრო განიმტკიცა ადგილი ოქროს შუაგულში. გუნდს შეეძლო დაეკარგა ეს ქულა. ის, რომ მატჩის ბოლო წუთზე წინ დინამოელები იყვნენ, შემთხვევის ამბავია. იმავე მდგომარეობაში „ურალმაში" რომ ყოფილიყო, არც ეს გაგვიკვირდებოდა, ვინაიდან ბრძოლა პირველიდან ბოლო წუთამდე თანაბარი გახლდათ.

კი მაგრამ, ნუთუ არავითარი განსხვავება არ არის თბილისის და სვერდლოვსკის კალათბურთელთა თამაშის კლასში? ნუთუ ისინი თანაბარი ძალის მეტოქენი არიან? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ „დინამომ" გუშინწინ თავის თავს მისცა უფლება დანაშაულებრივი უყურადღებობა, თუ გნებავთ, უპატივცემლობა გამოეჩინა კოლეგების მიმართ და კინაღამ მწარედაც დაისაჯა.

მორალი? მხოლოდ და მხოლოდ ერთია: ეცი პატივი მეტოქეს. ამით შენს თავსაც პატივს სცემ და გულშემატკივრებსაც. ყოველი შემთხვევისთვის, აგდებულად, მხოლოდ ტრიბუნებისთვის თამაში, პირველ ყოვლისა, უუნარობისა და სისუსტის მაჩვენებელია. „დინამოს" კი, ღრმად ვართ დარწმუნებული, კიდევ ძალუძს თავი გაგვახსენოს. გუშინწინდელი შეცდომა შესაძლოა სასარგებლოც გამოდგეს, თუ, რა თქმა უნდა, სწორად შეფასდება და საჭირო დასკვნებიც გაკეთდება.

„ბურევესტნიკისა" და „კალევის" შეხვედრაში ესტონელთა შანსები უფრო მაღალი იყო, მაგრამ მასპინძლებს ერთი წუთითაც არ უფიქრიათ რაიმე კომპრომისულ წინადადებაზე. მით უმეტეს, პირველ წრეში ტარტუს მატჩში მხოლოდ ბოლო წუთზე გამოავლინა უძლიერესი. „ბურევესტნიკმა" იბრძოლა ვაჟკაცურად, თავგამოდებით, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ სახეირო აღარაფერი ჩანდა, თავის თავს დასვენების უფლებაც მისცა. თბილისელებს კიდევ ორი პრინციპული მატჩი აქვთ ჩასატარებელი რიგისა და კიევის არმიელებთან და ძალების შენახვაც სწორედ ამისთვის იყო საჭირო (ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩხიკვაძე ბოლო მატჩში ტრავმირებული თამაშობდა).

დანარჩენ შეხვედრებში თეთრებმა (ე. ი. ფავორიტებმა) დაგეგმილი გამარჯვებები იზეიმეს: ცსკა-მ 34 ქულით აჯობა „ლოკომოტივს", „სტროიტელმა" კი 20 ქულით — მოსკოვის „დინამოს". გაიმარჯვა მესამე ფავორიტმაც — „სპარტაკმა", თუმცა რიგის არმიელებმა მას საკმარისად დააწყვიტეს ნერვები.

**ნ. გუგუშვილი.**

„დინამო" (თბილისი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 82:80 (47:41)
პირველი წრე — 63:60 „დინამოს" სასარგებლოდ

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ) 76:97 (42:48)
პირველი წრე — 86:84 „კალევის" სასარგებლოდ



ეს მომენტი შეიქმნა მატჩის პირველ ნახევარში, როცა ჯერ არაფერი იყო გარკვეული და გუნდებსაც წინ ჰქონდათ ბრძოლის ფართო ასპარეზი.

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან): დინამოელი ჩიხლაძე (№ 17), სვერდლოვსკელი კოვალიოვი (№ 15) და მოსეშვილი კალათზე იერიშის დროს.



თბილისელმა კალათბურთელებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ მეტოქეს მატჩის პირველ ნახევარში. „კალევს" დიდი ენერგიის დახარჯვა მოუხდა, სანამ ბრძოლის სადავეებს იგდებდა ხელთ.

ს უ რ ა თ ზ ე: დაძაბული მომენტი თბილისელთა ფარქვეშ.

## ბათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 15 | 2 | 1426—1191 | 15 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 18 | 14 | 4 | 1444—1355 | 14 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 18 | 13 | 5 | 1452—1300 | 13 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 18 | 13 | 5 | 1374—1253 | 13 |
| „კალევი" (ტარტუ) | 18 | 12 | 6 | 1496—1410 | 12 |
| „დინამო" (თბილისი) | 18 | 10 | 8 | 1384—1417 | 10 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 17 | 8 | 9 | 1398—1378 | 8 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 18 | 6 | 12 | 1340—1494 | 6 |
| ასკ (კიევი) | 18 | 6 | 12 | 1318—1386 | 6 |
| ასკ (რიგა) | 18 | 4 | 14 | 1278—1423 | 4 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 18 | 3 | 15 | 1340—1509 | 3 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 18 | 3 | 15 | 1296—1480 | 3 |

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მორიგი ტურის მატჩები:

„ჟალგირისი" (კაუნასი) — ასკ (რიგა)
**79:71 (42:29)**

„ლოკომოტივი" (ალმა-ათა) — ასკ (კიევი)
**62:65 (29:34)**

„დინამო" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი)
**104:82 (52:36)**

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — ცსკა
**67:75 (34:31)**

„ბურევესტნიკი" (თბილისი) — „სტროიტელი" (კიევი)
**47:52 (26:30)**

თბილისის „დინამოსა" და ტარტუს „კალევის" შეხვედრა გვიან საღამოს დამთავრდა.

## ხვალ

გაიმართება შემდეგი მატჩები: 10 ს. „ურალმაში" — „სპარტაკი", 11.45. „კალევი" — „ლოკომოტივი", 15.00. ასკ (რიგა) — „დინამო" (მოსკოვი), 16.45. ცსკა — „ჟალგირისი", 18.30. ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი), 20.15. „სტროიტელი" — „დინამო" (თბილისი).

ფოტოსურათები ა. კოტორაშვილისა.

ცსკა — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 92:58 (46:30)
პირველი წრე — 98:78 არმიელთა სასარგებლოდ



ალმაათელი კალათბურთელებისთვის ამ მატჩის შედეგი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, ამიტომ მათ მაინცდამაინც არ მოუკლავთ თავი. ცსკა-მ იოლი გამარჯვება მოიპოვა და მეორე დღისთვის სამზადისს შეუდგა, ვინაიდან ლენინგრადის „სპარტაკი" თბილისის ტურში მისი ერთ-ერთი მთავარი მეტოქეა.

ს უ რ ა თ ზ ე: არმიელი კალათბურთელების ერთ-ერთი შეტევა.

ასკ (რიგა) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 61:67 (28:41)
პირველი წრე — 72:68 „სპარტაკის" სასარგებლოდ



აი, ცუდი ტრადიცია ნევისპირელთათვის: „სპარტაკმა" გაჭირვებით მოიგო პირველი წრის მატჩი და თბილისშიც დიდი გარჯა დასჭირდა, რომ სასურველი შედეგისთვის მიეღწია. ლენინგრადელებმა გამარჯვების საძირკველი ფაქტიურად პირველ ტაიმში ჩაყარეს, თორემ შეხვედრის მეორე ნახევარი მათ წააგეს კიდეც.

ს უ რ ა თ ზ ე: მწვავე მომენტი ლენინგრადის სპარტაკელთა ფარქვეშ.

ასკ (კიევი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 78:70 (30:36)
პირველი წრე — 60:55 „ჟალგირისის" სასარგებლოდ



ამ დღეს კიეველთა გუნდი ერთ მთლიან სწრაფვად იყო შეკრული. დაცვაში თავგანწირული თამაშით არმიელებმა წარმატებით გადაჭრეს თავიანთი გეგმის ერთი ნაწილი — უზრუნველყვეს წესრიგი ზურგში. ამის შემდეგ შეტევამ უფრო ორგანიზებული და მწვავე ხასიათი მიიღო, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ს უ რ ა თ ზ ე: არმიელი ვოლკოვი თავისი კალათის სადარაჯოზე.

„სტროიტელი" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) 82:62 (37:33)
პირველი წრე — 92:76 „სტროიტელის" სასარგებლოდ



მოსკოვის „დინამოს" საბრძოლო პოტენციალს ალტაცებაში მოჰყავს სპეციალისტები. მაგრამ რა ფასი აქვს პოტენციალს, თუ მან თავისი ნამდვილი არსი იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე გახსნა? „დინამო" ახლა საბჭოთა კალათბურთის ყველაზე არასტაბილური გუნდია, რომელიც განწყობის მიხედვით თამაშობს. ამ დღეს იგი არ იყო ხასიათზე და აკი მწარედ დამარცხდა კიდეც.

ს უ რ ა თ ზ ე: შეხვედრის მომენტი.

იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანაში მიმდინარეობს ფიგურულ მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ყინულის მოედნის სხვა ვარსკვლავებთან ერთად ტივოლის სპორტის სასახლეში ასპარეზობს ახლახან დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატში (ლენინგრადი) გამარჯვებული გაბრიელე ზაიფერტიც. ჩვენს გაზეთში მოთავსებული ინტერვიუ, რომელიც „ლელოს" სპეციალურმა კორესპონდენტმა ლენინგრადში ყოფნის დროს აიღო, იქნებ მსოფლიო ჩემპიონატში გაბის გამარჯვების პრელუდიადაც კი გამოდგეს.

ეს ფოტოსურათი კი გადაღებულია 1967 წელს, როცა ზაიფერტი 19 წლისა იყო, მაგრამ დიდ სპორტში უკვე სახელმოხვეჭილი გახლდათ. როგორც ცნობილია, იგი წვრთნის დროს დიდ ადგილს უთმობს გორგოლაჭებიანი ციგურებით მეკადინეობას. გაბრიელეც სწორედ ასეთი ვარჯიშის შემდეგაა გადაღებული.

* * *

ტივოლის ყინულზე კი ჭერჭერობით ასეთი მდგომარეობაა: ქალთა შორის სავალდებულო პროგრამის პირველი სამი ვარჯიშის შემდეგ დაწინაურდა ევროპის ჩემპიონი თ. ნეპელა (ჩეხოსლოვაკია). მას ცოტათი ჩამორჩება მსოფლიო ჩემპიონი ტ. ვუდი (აშშ). III ადგილზეა გ. ცოლერი (გდრ). საბჭოთა სპორტსმენები ს. ჩეტვერუხინი და ს. ვოლკოვი შესაბამისად VI და VIII ადგილებზე არიან.

წუხელ გამოვლინდნენ წყვილთა სრიალში გამარჯვებულნი.

# გაბი, როგორიც ის არის...

ლენინგრადის სპორტის სასახლე „იუბილეინი" ხალხით იყო სავსე. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ერთხმად გაჰყვიროდა:

— გაბი, გაბი, გაბი...

ის იდგა ყვავილებისა და სინათლის წრისგან დატყვევებული და ბედნიერებით სახეგაბრწყინებული დედას ეხვეოდა.

დარბაზი დიდხანს არ ცხრებოდა, კვლავ ყინულოვანი მოედნისკენ მოუხმობდა ახალ ჩემპიონს.

იგი სულ 21 წლისაა და უკვე...

ამ უკვეში ბევრი რამაა ჩატეული,— უსაზღვრო ბედნიერება და გულდაწყვეტა, მსოფლიო ჩემპიონის, ევროპის ხამგზის ჩემპიონის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 60-ანი წლების ფიგურისტთა უცვლელი ლიდერის, გრენობლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორის, მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებულის ტიტულები.

გაბრიელე ზაიფერტი... 10 წელია მისი სახელი არ სცილდება მსოფლიო პრესის ფურცლებს. სპორტის რამდენი თაყვანისმცემელი აღფრთოვანებია მის ბრწყინვალე ოსტატობასა და უნაკლო ტექნიკას.

გაბი! მაინც როგორია ის ყინულის მოედნის გარეთ, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში?

სულ რამდენიმე წუთის წინ აღფრთოვანებული ბედნიერებას ვერ მალავდა, ახლა კი ზის სასტუმროს ნომერში დაღლილი, მასაჟისტს მინდობილი და უკვე დამთავრებულ ჩემპიონატზე ფიქრობს. სავარძლის სახელურიდან კი პატარა ლეკვი, მისი განუყრელი თანამგზავრი იცქირება თოჯინასთვის დამახასიათებელი სიდინჯით.

საუბარიც აქედან დაიწყო.

— გაბი, რაში გეხმარებათ თქვენი საყვარელი ლეკვი ასეთ დიდ შეჯიბრებაში?

— ოჰ, ჩემი პატარა პიტო ძალიან, ძალიან მეხმარება. უპირველეს ყოვლისა, მაგონებს ჩემს სახლს, თოჯინებს და თითქოს მაფრთხილებს, დამარცხებული ვერ დავბრუნდებით ვერც ჩვენ თოჯინებთან და ვერც მამასთანო, რომელმაც ეს სათამაშო მაჩუქა.

— დედათქვენი იუტა მიულერი საყოველთაოდაა ცნობილი, მამათქვენზე კი არასდროს არაფერი დაწერილა პრესაში.

— მამაჩემიც სპორტსმენია, ისიც მწვრთნელია, ჩვენი მშობლიური ქალაქის კარლ-მარქს-შტადტის საფეხბურთო კლუბის მთავარი მწვრთნელი.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ჟურნალისტებისადმი და თუ გიყვართ ინტერვიუ?

— ძალიან მომწონს ეს დაუზარელი, მუდამ საქმიანი და ყველაფრის მცოდნე ხალხი. ერთ დროს მე ვოცნებობდი სპორტული ჟურნალისტი გავმხდარიყავი, მაგრამ... მუდამ მსიამოვნებს მათთან საუბარი, ინტერვიუს მიცემა კი ყოველთვის როდი შემიძლია.

— ორიოდე სიტყვა თქვენს შესახებ...

— დავიბადე 1948 წლის 23 ნოემბერს (სიმაღლე — 160 სმ, წონა — 58 კგ). მშობლებთან ერთად ვცხოვრობ კარლ-მარქს-შტადტში, შარკშტრასეს № 4-ში. აქვე მაქვს ჩემი ოთახი, სადაც მინის ვიტრინაში ვინახავ მედლებსა და სხვა სპორტულ ნადავლს. ციგურებით ვარჯიში 5 წლის ასაკში დავიწყე. მწვრთნელი იმთავითვე დედაჩემი იყო. შარშან დავამთავრე სკოლა და ჩავაბარე გამოცდები ლაიპციგის ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე.

— თქვენი გატაცებანი?

— ბავშვობიდან ვაგროვებ თოჯინებს, ახლა კი სხვადასხვა ხალხის ეროვნულ სამოსს, ფირფიტებს როგორც საესტრადო, ისე კლასიკური ჩანაწერებით.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს — დილით, შუადღისას, საღამოს ვვარჯიშობ, ხოლო იმ მცირე დროს, რომელიც მრჩება, თითქმის მთლიანად ვუთმობ მუსიკას, კითხვას და მეგობრებს. განსაკუთრებით მიყვარს ბახის ნაწარმოებები ორგანისთვის და საესტრადო სიმღერები. მწერლებიდან თაყვანს ვცემ დიუმასა და მოპასანს, მომწონს ორი გერმანელი იუმორისტი მწერალი — რუდ შტრალი და ჰანს გეორგ შტანგელი.

— ფიგურული ციგურაობის გარდა სპორტის კიდევ რომელ სახეობას მისდევთ?

— სავალდებულოა ცურვა და მძლეოსნობა, ტანვარჯიში... განსაკუთრებით მიყვარს საცხენოსნო სპორტი. მოციგურავე რომ არ ვყოფილიყავი, ცხენოსანი გავხდებოდი. მომწონს წყალში ხტომა და სამთოსათხილამურო სპორტი. ხშირად დავდივარ ჰოკეიზე, სადაც მიტაცებს სპორტული აზარტი. ფეხბურთზე მხოლოდ მაშინ დავდივარ, როცა მამაჩემის კლუბი თამაშობს.

— ჩემპიონებს მუდამ ეკითხებიან, როგორ მიაღწიეს ამ წარმატებას.

— როგორც ზევით აღვნიშნე, ვარჯიში 5 წლის ასაკში დავიწყე. ჩემი მეორე სახლი, ვერც მე და ვერც დედაჩემი სხვაგვარად მას ვერ მოვიხსენიებთ, ჩვენი ქალაქის სპორტის სასახლის ყინულოვანი მოედანი გახლავთ. აქ ვვარჯიშობ და ვღებულობ ბალეტის გაკვეთილებს უკვე 17 წელია. ზაფხულობით ბევრს ვვარჯიშობ საერთო ფიზიკური ფორმისა და წონის შენარჩუნებისთვის. ჩემი ძლიერი მხარე ნებისმიერი პროგრამაა. ამიტომ ყოველთვის გაძლიერებულად ვმეცადინეობ სავალდებულო პროგრამაში. მხოლოდ ინტენსიური წვრთნით ვახერხებ ორივე პროგრამის შეხამებას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს ნებისმიერი პროგრამის ურთულესი ელემენტები ადვილი დასაძლევი იყოს. მაგალითად, ორმაგი ნახტომის ათვისებისთვის ხუთი წელი დამჭირდა, ხოლო „რიტბერგერი" სამი ბრუნით მთელ სამ წელიწადს არ გამომდიოდა უშეცდომოდ. ხშირად ვეცემოდი, რის გამოც თვეობით მიხდებოდა ვარჯიშის შეწყვეტა. აქედან შეიძლება დაასკვნათ, რომ, მიუხედავად თავისი გრაციოზულობისა, სიმსუბუქისა და მომხიბვლელობისა, ფიგურული ციგურაობა სპორტის ერთ-ერთი უძნელესი სახეობაა.

— ყველაზე ბედნიერი და მძიმე წუთები თქვენს სპორტულ ბიოგრაფიაში?

— ჭეშმარიტი ბედნიერება წამიერია. აბსოლუტურად ბედნიერი მხოლოდ მაშინ ხარ, როცა გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დგახარ. ჩამოდიხარ და მილოცვების შემდეგ იწყება გამოსვლის გაანალიზება, ჩემი და მეტოქეების შეცდომების შესწავლა, მოგვიანებით — უკვე მზადება შემდეგი ჩემპიონატისთვის. სიძნელეები, მძიმე წუთები, მოგეცათ ლხენა, ხშირი იყო. მაგრამ მუდამ მხარში მედგა დედა. მინდა გიამბოთ მის შესახებ, რადგან რასაც მივაღწიე, ყველაფერი დედაჩემის დაუღალავი შრომის შედეგია. მე ძალიან მიყვარს დედა, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის ჩემს მიმართ იყოს მომთხოვნი და მკაცრი, როგორიც სხვა მოწაფეების მიმართ არის. დედას საოცრად ემარჯვება აღსაზრდელებთან საერთო ენის გამონახვა. როცა საჭიროა, იგი მკაცრია, ხოლო როცა სპორტსმენს უჭირს, თბილი და მოალერსე. ეს მე საკუთარ თავზე გამოვცადე. 1964 წელს, როცა ინსბრუკის ოლიმპიურ თამაშებში XIX ადგილზე გავედი, მტკიცედ გადავწყვიტე ციგურები სამუდამოდ შემენახა. მაგრამ მაშინ დედამ ისეთი გულისხმიერება გამოიჩინა, რომ გაათკეცებული ენერგიით შევუდექი წვრთნას. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ მთავარია არ შეუშინდე მარცხს. მიზნისკენ სწრაფვაში ყველაფერი ხდება და საჭიროა ბრძოლა გამოუვალ მდგომარეობაშიც კი. როცა 1968 წელს ვესტეროსში სავალდებულო პროგრამის დროს ნახტომი არ გამომივიდა, წავიქეცი და ყველაფერი დაღუპული მეგონა, დედაჩემმა მაიძულა ბრძოლა გამეგრძელებინა და II ადგილზე გავედი.

— უფრო ხშირად რას გეკითხებიან?

— ყველაზე ხშირად, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის ჟურნალისტები მეკითხებიან, გადავალ თუ არა პროფესიონალებში, გამოვალ თუ არა ავსტრიის ან ამერიკის რევიუში, თუ უზარმაზარ თანხას შემომთავაზებენ. მათ, უბრალოდ, არ შეუძლიათ ჩემი გაგება. მე კი პასუხი მუდამ ერთი მაქვს (არას ვამბობ იმაზე, რომ ფიგურულ ციგურაობას პროფესიად არ გავიხდი): ჩემმა სახელმწიფომ უდიდესი დახმარება გამიწია, საუკეთესო პირობებს მიქმნიდა ვარჯიშისთვის, სწავლისთვის. არც მე და არც ჩემს მშობლებს ერთი კაპიკი არ გადაგვიხდია. განა შემიძლია ზურგი შევაქციო სახელმწიფოს, რომელთან ერთადაც დავიბადე, ვიზრდები, და რომელთანაც ცხოვრების ყველა ძაფი მაკავშირებს? (გაბრიელე დაჯილდოებულია გდრ-ის მთავრობის ორდენით — „სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის", არტურ ბეკერის სახელობის მედლით და სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო ნიშნით).

— არის თუ არა შეკითხვა, რომელიც ჟურნალისტებს არ დაუსვამთ, მაგრამ თქვენ კი დიდი სურვილი გაქვთ მასზე პასუხის გაცემისა?

— არის, თუმცა კონკრეტული არა. რატომღაც ყველა ჟურნალისტი მეკითხება სპორტზე, ჩემს ჰობიზე, მეკითხება, რას ვაკეთებ. მაგრამ იშვიათად თუ გკითხავენ პირად განცდებზე, იმაზე, რაც ყველა ადამიანს აწუხებს. მეც ხომ ჯერ ადამიანი ვარ — საკუთარი გრძნობებით, ფიქრებით და ოცნებებით, შემდეგ კი სპორტსმენი. ერთხელ ჟურნალისტებმა „პრანჭიადაც" კი მომნათლეს, ცხვირს მაღლა სწევსო. მაგრამ მათ არ უცდიათ გაეგოთ ჩემი, როგორც სპორტსმენისა კი არა, როგორც ქალიშვილისა. ამიტომაცაა, რომ ხშირად ბედნიერად ვგრძნობ თავს ჩემს მყუდრო ოჯახში თოჯინებთან და მშობლებთან ერთად.

— როგორი დამოკიდებულება გაქვთ გულშემატკივრებთან?

— მიყვარს ეს ხალხი, რომელიც ჩემთან ერთად განიცდის წარმატებას თუ მარცხს. პატივს ვცემ გულშემატკივრებს, ვისაც არ ვიცნობ, მაგრამ ვგრძნობ მათს მხურვალე გულს. მე ასტრონომიული რაოდენობით მომდის წერილები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან. მთხოვენ პასუხს, სურათს, ავტოგრაფს. დამიჯერეთ, ძალიან ძნელია ყველას უპასუხო, მაგრამ ვცდილობ არც ერთს გული არ დავწყვიტო. ეს დიდ დროს მოითხოვს და ზოგჯერ ნუ გამიბრაზდებიან, უნდა მაპატიონ, თუ ზოგიერთი უყურადღებოდ დამრჩება.

— ვინ არის თქვენი იდეალი სპორტში?

— ერთის გამოყოფა ძნელია, ისე კი ყველა ჭეშმარიტი სულის სპორტსმენი, რომლებიც, პირველ ყოვლისა, დიდი ადამიანებიც არიან.

— ამ ბოლო დროს ბევრს დაობენ, რომელს მიაკუთვნონ ფიგურული ციგურაობა და ყინულზე ცეკვა: სპორტსა თუ ხელოვნებას. თქვენ რას იტყოდით?

— ჯერ სპორტი და მერე ხელოვნება. ისევე როგორც ჭადრაკი, მხატვრული ტანვარჯიში და სხვა სპორტული თამაშობანი. სპორტი და ხელოვნება ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგანან, ერთიმეორეს ავსებენ და მიმზიდველობას მატებენ. თვალად განსაჯეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ყინულზე სრიალი ან ცეკვა, მხოლოდ ნახტომებისა და ტრიუკებისგან რომ შედგებოდეს.

— რას გრძნობთ იმ ნომრის შესრულების დროს, რომელზეც დამოკიდებულია თქვენი გამარჯვების ბედი?

— ჩემი აზრით, ყოველი გამოსვლა ერთგვარი რისკია, და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, როგორ გაგიმართლებს. 5 წუთი და რამდენიმე ნახტომი ყველაფერს წყვეტს. ასეც ხდება ხოლმე: ნახტომი, რომელიც ათასჯერ გაგიკეთებია უშეცდომოდ, მაინცდამაინც ამ ხუთ წუთში გიმტყუნებს. ამიტომაა, რომ ძალიან ვნერვიულობ, ხანდახან მუხლებიც კი მიკანკალებს. გარეგნული სიმშვიდე დიდი ნერვული დაძაბულობის ნაყოფია. ეს მხოლოდ მუსიკის ჩართვამდე, შემდეგ კი... ყველაფერი მავიწყდება.

— როგორ ამზადებთ პროგრამას?

— ყოველ წელიწადს თითქმის განახლებული პროგრამითა და მუსიკით გამოვდივარ, რომელსაც დედაჩემი და მე ერთად ვარჩევთ. საციგურაო კოსტუმის მოდელებსაც ერთად ვქმნით. შედარებით ძნელია მუსიკის შერჩევა. ყველა ელემენტი, დაწყება და დამთავრება რიტმში უნდა „ჯდებოდეს".

— ყველაზე ძნელი მეტოქენი?

— პირველ ყოვლისა, შეუდარებელი პეგი ფლემინგი, რომელმაც დაუმარცხებლად დატოვა სამოყვარულო სპორტი და ასეთივე წარმატებით გამოდის ამერიკის რევიუში. მომხიბლავი ჰანა მაშკოვა, ძალიან ტექნიკური ბეატრის შუბა, ჟუჟა ალმაში...

— დასასრულ, როგორია თქვენი მიზნები, ახლო და შორეული?

— უპირველეს ყოვლისა, მსურს შევინარჩუნო მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ლიუბლიანაში, შემდეგ გამოცდებს ჩავაბარებ და გაზაფხულამდე დავისვენებ. ზაფხულიდან დავიწყებ ახალი პროგრამის მომზადებას. მთავარი მიზანი კი ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებაა. შემდეგ შემიძლია მივანებო თავი აქტიურ სპორტს და დედაჩემის კვალს გავყვე — მწვრთნელი გავხდე.

— თქვენ თქვით, რომ მთავარი მიზანი ოლიმპიური ოქროაო...

— დიახ, ოლიმპიური ოქრო, რადგან ოლიმპიადა მსოფლიო სპორტის ნამდვილი დღესასწაულია. ამ დროს ყველა ივიწყებს პოლიტიკასა და ომს. ადამიანები ბედნიერნი და კეთილნი არიან, ამიტომაცაა, რომ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება ყველა სპორტსმენის ოცნებაა.

* * *

დიდხანს საუბრობდა თავის მეგობრებზე, ახალგაზრდებზე, მათს სულიერ ცხოვრებაზე. გაბის ყველაფერი აინტერესებს, ყველაფერი ცხოვრებისეული ნაცნობი და ახლობელია მისთვის. იგი მხოლოდ სპორტში როდია ჩაკეტილი.

შემდეგ საუბარი საქართველოს შეეხო.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, — გაუბრწყინდა თვალები გაბის. — რუსთაველი, ფიროსმანი, „ორერა", ბრწყინვალე ცეკვები. გერმანიაში ხომ სულ ახლახანს ჩატარდა საქართველოს კვირეული. „ორერა" ევროპაში ერთ-ერთი უბრწყინვალესი ანსამბლია.

ვიცოდი მისი გატაცებები: „ორერას" ფირფიტები, ხევსური ქუდი და ლითონზე ამოტვიფრული ქართველი ქალის პორტრეტი ვუსახსოვრე.

იმ წამსვე მოუსმინა ფირფიტებს. ბრწყინვალეაო, თვალებმილულული ჩურჩულებდა თავისთვის. უსმენდა ქართულ მუსიკას და ბედნიერი იყო ყინულის ჯადოქარი.

ყინულის ჯადოქარი, უეცრად მოსხკდარი ქარიშხალი, ცხოვრებაში კი ჩვეულებრივი, ცოტა მხიარული, ცოტა მეოცნებე ქერა ქალიშვილი.

მიჭირდა დამშვიდობება, მაგრამ უკვე გვიან იყო. დედამისს ყოველ 10 წუთში შემოჰქონდა მილოცვის ბარათები ყველა კუთხიდან, საქართველოდან, თბილისიდანაც...

— მომავალ შეხვედრამდე! — დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

— გერმანიაში? — იღიმება გაბი.

— არა, საქართველოში, სადაც თქვენ უამრავი უცნობი გულშემატკივარი და მეგობარი გყავთ.

— სიამოვნებით, — სწრაფად მთანხმდება გაბი და მთხოვს მისი ყველაზე საუკეთესო მეგობრული სურვილები გადავცე ქართველ თანატოლებსა და კოლეგებს სპორტში.


თ. ხარაბაძე,
თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი.


„ლელოს" ინტერვიუ



## საქართველოს ჩემპიონატი

გაზაფხულის პირველ დღეს — 1 მარტს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების სტადიონებზე შედგა საქართველოს ჩემპიონატის I ტურის მატჩები.

● „სინათლე“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:3. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

მატჩის დასაწყისში არც ერთ გუნდს არა ჰქონია რამდენადმე მაინც შესამჩნევი უპირატესობა, მაგრამ გადიოდა დრო და რკინიგზელები სულ უფრო ავიწროებდნენ მეტოქეს. მასპინძელთა კართან რამდენიმეჯერ შეიქმნა სახიფათო მომენტი, თითქოს პირველი წარმატებისთვისაც სამტრედიელებს უნდა მიეღწიათ, მაგრამ „სინათლემ“ კარგად განახორციელა კონტრშეტევა და ლორიამ ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ ლოკომოტიველებმა მტკიცედ დაიპყრეს მინდვრის შუაგული და კარგად მოფიქრებული, ორგანიზებული თამაშით აიძულეს მეტოქე დაცვაზე გადასულიყო. 72-ე წუთზე მანჯგალაძის ინდივიდუალური გარღვევა საპასუხო გოლით დამთავრდა.

მატჩის დასასრულს სამტრედიელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს დაწოლა, რაც დამთავრდა კულულაშვილისა და კოხრეიძის 2 გოლით. სამტრედიის „ლოკომოტივმა“ დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მზიური“ (გალი) 0:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თერჯოლა).

● „გიგანტი“ (ლაითური) — „მშენებელი“ (ბორჯომი) 2:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სამცხე“ (აწყური) 2:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

უპირატესობა თავიდანვე მასპინძელთა მხარეს იყო. აწყურელთა მეკარემ მე-19 წუთზე დაუშვა შეცდომა, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენა ქაჩიბაიამ. მეორე ტაიმში ძაგანიამ განამტკიცა „ეგრისის“ გამარჯვება.

● „სქური“ (წალენჯიხა) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 3:2. მსაჯი გ. დუბრავინი (თბილისი).

მიმდინარეობდა შეხვედრის სადებიუტო პერიოდი და მე-8 წუთისთვის ანგარიში უკვე 2:0 იყო წალენჯიხელთა სასარგებლოდ. მატჩის შედეგი, თითქოს, ეჭვსაც არ იწვევდა, მაგრამ ჯერ ჯინჭარაძემ, ხოლო შემდეგ შათირიშვილმა მეორე ტაიმში აღადგინეს თანაფარდობა — 2:2. ეს ანგარიში ბოლო წუთამდე უცვლელი იყო და მაშინ, როცა საფინალო სასტვენამდე რაღაც წამები იყო დარჩენილი, მასპინძლებმა შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 1:0. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

სტუმრებს, მართალია, თავიდანვე დაცვაზე მოუხდათ ფიქრი, მაგრამ „სალხინოს“ თავდამსხმელებმა კარგა ხანს ვერ შეძლეს თავიანთი უპირატესობის რეალიზება. 34-ე წუთზე გეგეჭკორელთა ერთ-ერთი იერიშისას ნახევარმცველმა კანკავამ შორიდან შეძლო მოპირდაპირე კარის აღება. მიუხედავად დაძაბული ბრძოლისა, დარჩენილ დროში ანგარიში არ შეცვლილა.

● „ვარკეთილი“ (გარდაბანი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:0. მსაჯი ლ. დონდაძე (თბილისი).

მატჩი მიმდინარეობდა უფერულად. შესამჩნევი იყო, რომ გუნდები ჯერ კიდევ არ არიან მზად საპასუხისმგებლო შეხვედრებისთვის. თამაშის დასასრულს 6 წუთი აკლდა, როცა ფანცულაიას ერთადერთმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა „ვარკეთილს“.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ასკ (თბილისი) 1:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (ხაშური).

● „ცისკარი“ (სიღნაღი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

## ქუთაისელთა ფრე

სოხუმი, 5 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა საწვრთნელი მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა“ და ცსკა-ს შორის.

ტორპედოელები მთელი ტაიმის მანძილზე უტევდნენ მეტოქეს და ამ შეტევისას რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი არ იქნა რეალიზებული. კერძოდ, მე-12 წუთზე ვეკუა საუკეთესო პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ ვერ შეძლო ბურთის გატანა. მე-15 წუთზე ხერხაძე გავიდა ორ მოპირდაპირე მცველს შორის და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

კარგად თამაშობდნენ ქუთაისელები შესვენების შემდეგაც და ისევ უზუსტო დარტყმების გამო ვერ მოხერხდა წარმატების მოპოვება. სამაგიეროდ, 28-ე წუთზე არმიელთა ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლით დაამთავრა კოპეიკინმა — 1:1.

„ტორპედო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გრძელიშვილი, აბზიანიძე, წვერავა, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ოქროპირაშვილი, ასიტაშვილი, ანფიმიადი, ვეკუა, ხერხაძე, ქორიძე.

**შ. ჯალაღონია.**

## ფეხბურთი 70

# ლენდსა და პოიანა ბრაშოვში

ამ დღეებში რუმინეთიდან დაბრუნდნენ საქართველოს სამთომოთხილამურეები, რომლებიც იქ „პოიანას თასზე“ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოდიოდნენ. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს სათხილამურო ფედერაციის თავმჯდომარეს ა. მხეიძეს და სთხოვა ეამბნა ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობის შესახებ.

## ლელო ინტერვიუ

— მე მგონია, ასე აჯობებს: ჯერ სიტყვა მივცეთ ჩვენს სტუმარს—სპორტის ოსტატ ი. ნასყიდაშვილს, რომელიც ავსტრიის საუნივერსიტეტო კლუბების ღია ჩემპიონატში მონაწილეობდა, როგორც „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრი, — თქვა მხეიძემ.

● იოსებ, ვინ შედიოდა „ბურევესტნიკის“ ნაკრებში?

— პერმელები მ. ლოგინოვი და თ. პერშინა, ალმაათელი მ. ჰუსაინოვი, ლენინგრადელები ი. ტურუნდაევსკაია და ლ. ბარიშნიკოვა, კემეროველი ნ. ხალზოვა და მე. შეჯიბრებაში, რომელიც ავსტრიის სამთო კურორტ ლენდში ჩატარდა, ბიშოფსჰოფენის, ჰალენის, ზალფელდენის, გრიოდლიგის, შვარცაჰის, შუტდორფის, ზალცბურგის, ბადგაშტაინისა და ავსტრიის სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების 120 სპორტსმენი გამოდიოდა.

● როგორი იყო პროგრამა?

— შეჯიბრება გაიმართა სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომში. ვაჟები, ქალები, გოგონები და ჭაბუკები ცალ-ცალკე ასპარეზობდნენ.

● რას გვეტყვით სსრ კავშირის სამთომოთხილამურეთა მაჩვენებლებზე?

— სამდურავი არ გვეთქმის განსაკუთრებით კარგად გამოვედით გიგანტურ სლალომში. გიგანტური სლალომის ტრასის სიგრძე ქალებისა და ქალიშვილებისთვის 1380 მეტრი იყო, სიმაღლეთა სხვაობა — 300 მეტრი. დისტანციაზე 35 კარი იდგა. შეჯიბრებაში თავდაპირველად იუნიორები ჩაებნენ. ქალიშვილებში იმარჯვა დ. როსენფელდერმა (ბიშოფსჰოფენი) — 1.23,8, ავსტრიაში ამ ქალაქს ყველაზე კარგი სამთომოთხილამურეები ჰყავს. ეს იმითაც დასტურდება, რომ ქალთა შეჯიბრებაშიც მასპინძლებიდან ამ ქალაქის წარმომადგენელი ტ. კროზენბრუნერი (1.24,5) იყო ერთადერთი, ვინც საპრიზო ადგილი დაიკავა. იგი მხოლოდ ტურუნდაევსკაიასა (1.20,3) და ხალზოვას (1.20,8) ჩამორჩა.

ვაჟთა შეჯიბრების ტრასა 500 მეტრით მეტი იყო. ჭაბუკებში საუკეთესო აღმოჩნდა გ. ფიშნალერი (შუტდორფი) — 1.16,8. ვაჟებში კი აქაც სსრ კავშირის სპორტსმენებმა იმარჯვეს: პირველობა მოიპოვა ლოგინოვმა (1.14,2), II ადგილი მე დამრჩა — 1.14,7. დიდი სამახსოვრო მედლებიც მივიღეთ. III ადგილზე გავიდა ჭაბუკთა შორის ევროპის წლევანდელი ჩემპიონი რ. შნიოლი (ბიშოფსჰოფენი) — 1.16,7.

საერთაშორისო წესით, ჯგუფები სიძლიერის მიხედვით დაჰყვეს, ესე იგი, იმის მიხედვით, ვინ როგორ გამოიჩინა თავი წლევანდელი სეზონის საერთაშორისო ტურნირებში. სპორტსმენები ამის გათვალისწინებით განაწილდნენ ჯგუფებშიც. სსრ კავშირის სამთომოთხილამურეებისთვის წლეულს ეს პირველი საერთაშორისო ასპარეზობა იყო და ცალკე ჯგუფი შეგვიქმნეს. ამან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, მაგრამ მაინც ვიმარჯვეთ.

● სწრაფდაშვებაზე რას იტყვით?

— 3200-მეტრიან ტრასაზე 17 კარი იდგა, მაგრამ აქ ვერ მოვიპოვეთ ისეთი წარმატება. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ სსრ კავშირში სათანადო სიგრძის ტრასების უქონლობა საქმეს აფერხებს.

ტურნირის დამთავრებისთანავე შინ გამოვემგზავრე, ვიცოდი, რომ რუმინეთში უნდა მეასპარეზა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და თანაგუნდელები მოსკოვში მელოდნენ. დანარჩენზე არჩილი უკეთ გიამბობთ.

— საქართველოს სპორტსმენები რუმინეთში იყვნენ მიწვეული სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაგეგმილ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის, — განაგრძო მხეიძემ. — გერა აბრამიშვილის ავადმყოფობის გამო გუნდი ისედაც დასუსტებული იყო. ახლა ორი სპორტსმენით უნდა ვწვეოდით რუმინელ მეგობრებს, ნასყიდაშვილი კი არა და არ ჩანდა. ბოლოს, გამგზავრებამდე 2 საათით ადრე, იგი, როგორც იქნა, ჩამოვიდა და ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ. ამრიგად, რუმინეთში სამნი წავედით: ნასყიდაშვილი, მე და გიორგი ჯიჩოევი, რომელმაც საქართველოს ზამთრის III სპარტაკიადაში გამოიჩინა თავი.

● რა მასშტაბისა იყო ტურნირი?

— „პოიანას თასის“ გათამაშებაში მონაწილეობდნენ ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, გფრ-ის, საფრანგეთის, იუგოსლავიის, საქართველოსა და რუმინეთის საუკეთესო სპორტსმენები, მათ შორის, მოთხილამურეები, რომლებიც სულ ახლახან მსოფლიო პირველობაში გამოდიოდნენ.

● სად გაიმართა შეჯიბრება?

— პოიანა ბრაშოვში. აქ შესანიშნავი სამთოსათხილამურო ბაზაა, რომელიც ბევრჯერ ყოფილა დიდ ასპარეზობათა მასპინძელი. თასის გათამაშების პროგრამაში იყო სპეციალური სლალომი და სწრაფდაშვება. სპეციალურ სლალომში (სიგრძე — 400 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 190 მ, 57 და 61 კარი) პირველი ცდით მასპინძელი დ. მუნტეანუ დაწინაურდა. მან 49,3 წამი აჩვენა და 0,1 წამი მოუგო პ.-რ. არტინის (საფრანგეთი). მაგრამ მეორე ცდაზე არტინიმ ტრასა 50 წამში დაფარა, მუნტეანუმ კი 50,2 წამში და საბოლოოდ გამარჯვება ფრანგს დარჩა — 1.39,4. II ადგილზე დარჩა მუნტეანუ — 1.39,5, III — გ. ვილპე (რუმინეთი) — 1.40,8.

ჩვენმა ბიჭებმაც კარგად იასპარეზეს. ნასყიდაშვილმა IV ადგილი დაიკავა (1.45,9), ჯიჩოევმა—V (1.46,8). საერთოდ, ნასყიდაშვილს უკეთესი მაჩვენებელი ექნებოდა, მეორე ცდაზე კარს რომ არ აცდენილიყო. შეცდომის გამოსწორებამ ძვირფასი წამები შეიწირა.

● სწრაფდაშვებაზეც გვითხარით რამე.

— 3080-მეტრიანი ტრასა მეტისმეტად რთული იყო, რის გამოც იუგოსლაველებმა ასპარეზობაში მონაწილეობაზე უარი თქვეს. პირველი ორი ადგილი მასპინძლებს ვილპესა (1.48,9) და მუნტეანუს (1.49,6) დარჩათ. რაც შეეხება III ადგილს, იგი ჯიჩოევს (1.51,2) მიეკუთვნა. ამის შესახებ რუმინული გაზეთი „სპორტიც“ წერდა, მაგრამ მეორე დღეს მსაჯთა კოლეგიამ პირვანდელი გადაწყვეტილება შეცვალა და III ადგილზე ლ. ზიგერი (საფრანგეთი) „გაიყვანა“ — 1.50,4. საქმე ისაა, რომ ფრანგმა წესი დაარღვია — მესტარტის ნიშნამდე დაეშვა, რისთვისაც იმ დღეს მოხსნეს კიდეც შეჯიბრებიდან, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება რატომღაც შეცვალეს. ამან მარტო ჩვენი კი არა, საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლის გაკვირვებაც გამოიწვია.

● ნასყიდაშვილი როგორ დაეშვა?

— მე-9 კარამდე მას საუკეთესო დრო ჰქონდა, მაგრამ აქ თხილამურების სამაგრი გაეხსნა და სპორტსმენი ტურნირს გამოეთიშა.

● რა შეჯიბრებები ელით წლეულს საქართველოს სპორტსმენებს?

— საკავშირო ჩემპიონატი.

● როგორია გუნდის სავარაუდო შემადგენლობა?

— ფედერაციამ ასე გადაწყვიტა: ვაჟთა პირველობაში გამოვლენ ნასყიდაშვილი, ჯიჩოევი, კახიანი, თვაური, აკოფოვი და სტეპანიანი, ქალთა შეჯიბრებაში იასპარეზებენ ფალიანი და თვაური.

# სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით

კიდევ რამდენიმე დღე და ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე აღიმართება 1970 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის ალამი.

— წინასასეზონო სამუშაოები, — განაცხადა ჩვენთან საუბარში სტადიონის დირექტორმა ჯ. ბერულავამ, — ძირითადად დამთავრებულია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სათამაშო მინდვრის კეთილმოწყობას. თითქმის სანახევროდ შეიცვალა საზარდი მიწა, ნიადაგში შეიტანეს სასუქი, კარგ მდგომარეობაშია დრენაჟი და წვიმიან ამინდში მინდორზე წყალი არ დადგება. რეკონსტრუქცია გაუკეთდა და მთლიანად კეთილმოწყობილი გახდა გასახდელი ოთახები. ჩამოსული გუნდები საყვედურს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ სტადიონს არ ჰქონდა აბაზანები. ახლა ეს ხარვეზიც აღმოფხვრილია. მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს საწვრთნელ მინდორზეც. აქ გაკეთდება მაყურებელთა ტრიბუნები 2.000 კაცისთვის, მოეწყობა გასახდელები.

წარმატებით ხორციელდება სტადიონის სხვა სამუშაოებიც: მიმდინარე რემონტი, ნარგავებისთვის ორმოების მომზადება. სტადიონს აქვს საკუთარი სასათბურო მეურნეობა, საიდანაც მთელს ტერიტორიაზე სხვადასხვა ჯიშის ყვავილნარს გადარგავენ.

აი, მოკლედ ის, რაც ახალი საფეხბურთო სეზონისთვის გაკეთდა და კეთდება. სტადიონის დირექციის მუშაობის დღის წესრიგში ისევ და ისევ სპორტული ბაზების აგებისა და მათი კეთილმოწყობის საკითხი დგას. წინა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ქუთაისელმა სპორტსმენებმა მაღალი შედეგები მოიპოვეს. საჭიროა მათი განმტკიცება, ამას კი კარგი სპორტული ბაზები განაპირობებს. ამ საქმეში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სტადიონის დირექციამ. მან თვალსაჩინო სამსახური უნდა აღმოუჩინოს სპორტსმენებს მომავალი საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადებაში.

საჭიროა კეთილნაყოფიერი საწვრთნელი პირობები შევუქმნათ მძლეოსნებს. საამისოდ წესრიგში მოჰყავთ სარბენი ბილიკები. სხვა სექტორებთან ერთად მწყობრში ჩადგება ჭოკით სახტომი სექტორი, მალე მზად იქნება სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი ორმოები. რემონტი უკეთდება მძლეოსანთა გასახდელებს. 100 მეტრზე სარბენი ბილიკი კეთდება 5 მეტრის სიგანეზე.

მალე მწყობრში ჩადგება ჩოგბურთის 2 კორტი, კალათბურთის ფიცარნაგიანი მოედანი, აგრეთვე, ხელბურთის მოედანი.

დაბოლოს, რაც მთავარია, სტადიონზე სამიკველი ჩაეყარა კომპლექსურ. სპორტულ ნაგებობას, რომელსაც სამი დარბაზი ექნება. ერთი მათგანი, რომლის ზომა იქნება 54×26 მ, გათვალისწინებულია კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, ჩოგბურთელთა, ხელბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობებისთვის. დარბაზს ექნება ტრიბუნები 2.200 მაყურებლისთვის, აქვე მოეწყობა გასახდელები, საშხაპეები. დანარჩენი ორი საწვრთნელი დარბაზია, რომლებიც ძალოსნებს, მოკრივეებს, მოჭიდავეებს მოემსახურება. ამ სპორტულ ნაგებობას ექნება ცენტრალური გათბობა, ფოიე, ბუფეტი და კულტურული მომსახურების სხვა ობიექტები.

ამ ღირსშესანიშნავ სპორტულ ნაგებობაზე 250 ათასი მანეთი დაიხარჯება და მისი ექსპლოატაციაში გადაცემა წლის ბოლოსთვისაა გათვალისწინებული. იგი შესანიშნავი საჩუქარი იქნება ქუთაისელი სპორტსმენებისთვის.

**შ. ნიჟარაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ქუთაისი.

## 20 წ

◆ პარიზი, 4 მარტი. ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში გუშინ გამართული მეოთხედფინალური მატჩების შემდეგ ოქროს ოთხი მაძიებელიღა დარჩა — გდრ-ის, დანიის, რუმინეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. ბრძოლა ძალიან მწვავე და საინტერესო იყო. დანიელებმა მოუგეს მსოფლიო ჩემპიონს — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს (18:16), რუმინელებმა შვედებს (15:13), იუგოსლავიელებმა პირველი ტაიმის წაგების (5:6) შემდეგ სძლიეს უნგრელებს — 11:10. ყველაზე მძაფრი ჭიდილი გააჩაღეს გდრ-ისა და გფრ-ის გუნდებმა. პირველი ტაიმი მოიგეს დასავლეთგერმანელებმა — 12:7. მეორე ტაიმის მიწურულს გდრ-ის ხელბურთელებმა გაათანაბრეს ანგარიში (16:16), ორ დამატებით ტაიმში (5-5 წუთი) კი გაიმარჯვეს კიდეც — 18:17. ხვალ ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: გდრ — იუგოსლავია, რუმინეთი — დანია. IX-XII ადგილებისთვის მებრძოლთა ტურნირში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა ფრანგები — 25:14. 13 ბურთი გაიტანა შაიუკმა. იაპონელებმა მოუგეს ისლანდიელებს — 20:19.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 r. უე 04173